ესეების კონკურსი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის
გერმანულ-ქართული ურთიერთობები
(კონკურსი ეძღვნება საქართველო-გერმანიის მეგობრობის იუბილეს)

თარიღები:
კონკურსის გამოცხადება, ესეების მიღება:
20 სექტემბერი-20 ნოემბერი, 2017 წელი
ესეების პრეზენტაციები: 10 დეკემბერი
კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა დაჯილდოება:
11 დეკემბერი 2017 წელი

ორგანიზატორები:
საქართველოს გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია
პრეზიდენტი: ნინო ფალავანდიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
დოქტორი ნინო პოპიაშვილი
გერტ რობერტ გრიუნერტი, ლირიკოსი, ლიტერატორი, მთარგმნელი, რაინლანდ ერფის ლიტერატურული გაერთიანება, გერმანია
გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში

კონკურსის მიზანი:
2017 წელი გერმანულ-ქართული ურთიერთობების წლად არის გამოცხადებული. ამ წელს აღინიშნება საქართველოში გერმანული დასახლებების 200 წლისთავი, ასევე საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავი. გერმანულ-ქართულ ურთიერთობებს ხანგრძლივი და საინტერესო ტრადიცია აქვს, ღონისძიების მიზანია, ამ მრავალფეროვნების წარმოჩენა და აღნიშნული თემატიკით ახალგაზრდა ავტორების, მოსწავლეებისა და სტუდენტების დაინტერესება და გერმანულ-ქართული ურთიერთობების შესახებ; ქართულ ან გერმანულ ენაზე ლიტერატურული ესეს მომზადება შემდეგ თემებზე: გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები, ისტორიული ურთიერთობები, ურთიერთობები ხელოვნების სფეროში (მხატვრობა, თეატრი, მუსიკა), თარგმანები: გერმანულიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან გერმანულზე და სხვა. ღონისძიების კიდევ ერთი მიზანია, ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სკოლებში გერმანული ენის პოპულარიზაცია.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს, უნივერსიტეტების სტუდენტებს.

სავარაუდო თემატიკა:

- ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული ისტორიული ურთიერთობები
- ლიტერატურული ურთიერთობები
- კულტურული ურთიერთობები
- გერმანელები საქართველოში
- ქართველები გერმანიაში
- გერმანული ენა საქართველოში

შემფასებელი კომისია:

გერტ რობერტ გრიუნერტი - გერმანელი პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი (კომისიის თავმჯდომარე)

ნინო ფალავანდიშვილი - გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი (თავმჯდომარის მოადგილე)

ნინო პოპიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თავმჯდომარის მოადგილე)

ეკატერინე ნავროზაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ანა ბაკურაძე - გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი

ნინო კიკალიშვილი - გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია, გერმანული ენის პედაგოგი

ნინო აბრალავა - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი

რამაზ სვანიძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ია გვიანიძე - გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია, გერმანული ენის პედაგოგი

მაია ვალაშვილი - გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია, გერმანული ენის პედაგოგი

გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

კომისია შეარჩევს არაუმეტეს 10 ესეს საჯარო სკოლის მოსწავლეების ავტორობით და 10 ესეს უნივერსიტეტის სტუდენტების ავტორობით, რომელთა შორის გამოვლინდება საუკეთესო ესეები: 3 ესე მოსწავლეების ავტორობით და 3 ესე სტუდენტების ავტორობით. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომებით და საჩუქრებით.

ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

შეფასების კრიტერიუმები:

თემასთან შესაბამისობა;

თხრობის, აზრის ორიგინალურად და ლაკონურად გადმოცემის უნარები;

ტექსტის გრამატიკულ და შინაარსობლივ გამართულობა.

შეფასების კრიტერიუმები: მაქსიმალური: 60 ქულა

	კრიტერიუმის დასახელება	ს უსტი	საშ უალო	არგი	კომე ნტარი
	ნაშრომის შინაარსი **მოწმდება:** დასმული პრობლემის აქტუალობა და ანალიზი;	1-10	11-15	6-20	
	ნაშრომის სტრუქტურა ნაშრომის ორგანიზება, მართლწერის საკითხები (სტილისტური, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური შეცდომები)	1-10	11-15	6-20	
	შედეგები ლოგიკურია თუ არა დასკვნები.	1-10	11-15	6-20	

კონკურსის ეტაპები:

კონკურსი ტარდება სამ ძირითად ეტაპად:

1. საბუთების მიღება (20 სექტემბერი - 20 ნოემბრი);
2. ნაშრომის პრეზენტაცია (10 დეკემბერი);
3. გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება (11 დეკემბერი).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

განაცხადის ფორმა:

- მომხსენებლის სახელი, გვარი;
- სწავლების ადგილი და საფეხური:
- მისამართი;
- ტელეფონი(მობილური);
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ნაშრომის სათაური;

ესეს გაფორმების წესი:

- ფურცლის ზომა A4;
- მინდორი:ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5 სმ.
- შრიფტი - უნიკოდი (Sylfaen)
- შრიფტის ზომა -12;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1;
- გვერდების რაოდენობა -3-5.

კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა გამოგზავნოთ **2017 წლის 20 ნოემბრამდე** ელექტრონული ფოსტის შემდეგ
მისამართზე: n.palavandishvili@europeanschool.ge

საკონტაქტო პირი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი
მისამართი: თსუ, I კორპუსი, ოთახი 204.